




Legal expertise.
Business understanding.
It's all connected.

საგადასახადო & სამართლებრივი სიახლეები
აპრილი, 2021 წ.



ცვლილება „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონში

2021 წლის 13 აპრილს გამოქვეყნდა ცვლილება „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონში. ცვლილება ძალაში შედის 2021 წლის 12 მაისიდან. ცვლილების მიხედვით, მათ შორის, იცვლება შემდეგი საკითხები:

- საქართველოში ბინადრობის ნებართვა არ გაიცემა უცხოელზე, რომელიც საქართველოში ბინადრობის ნებართვის მიღების მოთხოვნით განცხადების წარდგენის მომენტისთვის იმყოფება საქართველოდან გასვლის ვალდებულების გადავადების საფუძველზე.
- საქართველოში ბინადრობის ნებართვა (გარდა საინვესტიციო ბინადრობის ნებართვისა, სპეციალური ბინადრობის ნებართვისა და კონკრეტული ტიპის დროებითი ნებართვისა) არ გაიცემა C კატეგორიის ორდინალური ვიზის საფუძველზე.
- საქართველოში ბინადრობის ნებართვა (გარდა საინვესტიციო ბინადრობის ნებართვისა, სპეციალური ბინადრობის ნებართვისა და კონკრეტული ტიპის დროებითი ნებართვისა) არ გაიცემა იმ უცხოელზე, რომელსაც აქვს საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული ქვეყნის ვიზა ან/და ბინადრობის ნებართვა და შეუძლია საქართველოში უვიზოდ შემოსვლა.

წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 27 აპრილი 2021

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2021 წლის 9 მარტის ბრძანება N 32/04 ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის დამტკიცების თაობაზე

2021 წლის 1 აპრილიდან ამოქმედდა საქართველოს ეროვნული ბანკის (შემდგომში - „სებ“-ის) პრეზიდენტის ბრძანება ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესების დამტკიცების თაობაზე.

აღნიშნული ბრძანებით ჩანაცვლდა სების პრეზიდენტის 2016 წლის 23 დეკემბრის 151/04 ბრძანება.

- ბრძანების მიხედვით, ფინანსური ორგანიზაციის ვალდებულებები, მათ შორის, მოიცავს:
 - მიაწოდოს მომხმარებელს საფინანსო პროდუქტის პირობების შესახებ უტყუარი, გასაგები და გადაწყვეტილების მიღებისათვის აუცილებელი ინფორმაცია. აღნიშნული ინფორმაცია მიწოდებული უნდა იქნას მომხმარებლებისთვის, მათ შორის, მათთან გასაფორმებელ/გაფორმებულ ხელშეკრულებებში;

ფინანსური ორგანიზაციის
ვალდებულებები

- დაუყოვნებლივ და ყოველგვარი დამატებითი ხარჯის გარეშე აცნობოს მომხმარებელს ზეპირსიტყვიერად თუ კრედიტის გაცემაზე ფინანსური ორგანიზაციის მხრიდან უარი ეფუძნება მხოლოდ საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს მონაცემთა ბაზაში არსებულ მონაცემებს;
- საფინანსო პროდუქტთან დაკავშირებული დაზღვევის შეთავაზების შემთხვევაში მომხმარებელს გააცნოს და მიაწოდოს საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2017 წლის 3 აპრილის N18 ბრძანებით გათვალისწინებული „საინფორმაციო ფურცელი“;
- საფინანსო პროდუქტთან დაკავშირებული დაზღვევის შეთავაზების შემთხვევაში მომხმარებელს მიაწოდოს ინფორმაცია აუცილებელია თუ არა დაზღვევა საფინანსო პროდუქტის მისაღებად.

წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 27 აპრილი 2021

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის N 48/04 ბრძანება
ანგარიშვალდებული პირის მიერ პრევენციული ღონისძიებების ელექტრონულად
განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე

ბრძანებით განისაზღვრა სეზის ზედამხედველობას დაქვემდებარებული ანგარიშვალდებული პირების მიერ კლიენტთან ან/და კლიენტის სახელით მოქმედ პირთან „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული პრევენციული ღონისძიებების ელექტრონულად განხორციელების წესი.

აღნიშნული ბრძანების მიხედვით, ანგარიშვალდებული პირი ვალდებულია, მათ შორის:

შეტყობინების ვალდებულება

- ელექტრონული იდენტიფიკაციის/ვერიფიკაციის პროცესების დანერგვამდე წერილობით მიმართოს სეზ-ს და მიაწოდოს ინფორმაცია ელექტრონული იდენტიფიკაციის/ვერიფიკაციის პროცესების შესახებ;

თანხმობის მიღების
ვალდებულება

- მიიღოს წერილობითი თანხმობა ელექტრონული იდენტიფიკაციის/ვერიფიკაციის პროცესის დანერგვის შესახებ - სეზ-ი გადაწყვეტილებას იღებს მიმართვიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში და საჭიროების შემთხვევაში, უფლებამოსილია აღნიშნული ვადა გაზარდოს დამატებით 30 კალენდარული დღით, რის თაობაზეც ეცნობება ანგარიშვალდებულ პირს.

ელექტრონული
იდენტიფიკაცია/ვერიფიკაციის
განხორციელება სეზ-ის
თანხმობის გარეშე

- სეზ-ის თანხმობის გარეშე ელექტრონული იდენტიფიკაციის/ვერიფიკაციის განხორციელების შემთხვევაში, ყველა ასეთი ფორმით იდენტიფიცირებული/ვერიფიცირებული პირი „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებისათვის ჩაითვლება არაიდენტიფიცირებულად/არავერიფიცირებულად და სეზ-ი უფლებამოსილი იქნება გამოიყენოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სანქციები ან/და საზედამხედველო ზომები.

წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 27 აპრილი 2021

კანონის პროექტი „დეპოზიტების დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ

2021 წლის 27 აპრილს საქართველოს პარლამენტმა მესამე მოსმენით განიხილა „დეპოზიტების დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონში და მასთან დაკავშირებულ აქტებში ცვლილების შეტანის საკითხი.

დაზღვეული დეპოზიტების შესახებ ინფორმაცია

- კანონის პროექტით წესრიგდება დაზღვეული დეპოზიტების შესახებ ინფორმაციის მიწოდების საკითხი. დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) შეუძლია კომერციულ ბანკებში არსებული დაზღვეული დეპოზიტების შესახებ ინფორმაცია, საჭიროების შემთხვევაში, ნებისმიერ დროს მოითხოვოს ან/და გადაამოწმოს ადგილზე, დისტანციურად ან/და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული პირის ან/და კომერციული ბანკების გარე აუდიტორების მეშვეობით.

რეპო ოპერაციები

- კანონპროექტის მიხედვით, სააგენტოს ენიჭება უფლებამოსილება აწარმოოს რეპო ოპერაციები.

კომერციული ბანკების შერწყმის შედეგად დეპოზიტორთა ანაზღაურების წესი

- კანონპროექტი ასევე მოიცავს კომერციული ბანკების შერწყმის შედეგად დეპოზიტორთა ანაზღაურების წესს. კომერციული ბანკების შერწყმის შემთხვევაში მათი შერწყმიდან 6 თვის განმავლობაში სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას დეპოზიტორს უფლება აქვს, მოითხოვოს შერწყმამდე თითოეულ კომერციულ ბანკში არსებული, ზღვრის ფარგლებში დაზღვეული დეპოზიტის ცალ-ცალკე ანაზღაურება, სააგენტოს უფროსის სამართლებრივი აქტის (ინსტრუქციის) შესაბამისად

წყარო: საქართველოს პარლამენტი 27 აპრილი 2021



დაგვიკავშირდით.

მოხარული ვიქნებით მოგაწოდოთ დამატებითი ინფორმაცია, თუ რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს მითითებულ ცვლილებებს თქვენს ბიზნესს საქმიანობაზე.

სერგი კობახიძე

პარტნიორი, საგადასახადო და იურიდიული პრაქტიკა
sergi.kobakhidze@pwc.com

ვანო გოგელია

იურიდიული პრაქტიკის ხელმძღვანელი
vano.gogelia@pwc.com



აღნიშნული მასალა მომზადებულია მხოლოდ ზოგადი ინფორმაციის მიწოდების მიზნით და არ უნდა განიხილებოდეს პროფესიულ რეკომენდაციად. ამ მასალაში შემავალი ინფორმაციაზე დაყრდნობა შესაბამისი პროფესიონალური კონსულტაციის გარეშე არ არის მიზანშეწონილი. ამ მასალით PwC არ იღებს არანაირ გარანტიას (გამოხატულს ან ნაგულისხმევს) ინფორმაციის სიზუსტესა თუ სისრულეზე და არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერი სახის შედეგებზე, გამოწვეული იქნება ეს თქვენი ან სხვა ვინმეს ქმედებით დაყრდნობა ამ ინფორმაციას და/ან მიიღოს გადაწყვეტილება შესაბამისი კონსულტაციების გარეშე.

© 2021 PwC. ყველა უფლება დაცულია. "PwC" ნიშნავს შპს ფრაისიუთერპაუსკუპერს საქართველოს როგორც წევრ ფირმას, და ზოგ შემთხვევაში PwC-ის ქსელს, რომელშიც შემავალი თითოეული ფირმა არის ცალკე და დამოუკიდებელი იურიდიული პირი. დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ www.pwc.com/structure.